ანნა მ. კვიატკოვსკა

ჩემი უსაფრთხოება ინტერნეტში

როგორ უნდა ისარგებლოს ინტერნეტით ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირმა

საქართველო, Georgia, 2017

შინაარსი:

ჩემი ინტერნეტი	3
წესი 1	3
წესი 2	5
წესი 3	6
წესი 4	7
წესი5	8
წესი 6	9
წესი 7	10
წესი 8	11
წესი 9	11
წესი 10	13
წესი 11	14
წესების კრებული – კედელზე განთავსებისთვის	16

ჩემი ინტერნეტი

ინტერნეტი გვაძლევს უამრავ საშუალებას.

მაგალითად, ინტერნეტში შეიძლება თქვენთვის საჭირო ინფორმაციის მოძებნა. ინტერნეტის გამოყენებით შეგვიძლია, დავეკონტაქტოთ ნაცნობებს.

შეიძლება ხალხის გაცნობა. დაწვრილებით შესაძლებლობების შესახებ, წაიკითხავთ წიგნში „ჩემი ინტერნეტი“.

მაგრამ ინტერნეტით სარგებლობა შეიძლება საფრთხეს წარმოადგენდეს. საჭიროა, უსაფრთხოების წესების ცოდნა და ამავე წესების დაცვა. მაშინ ინტერნეტით სარგებლობა სასარგებლო და სასიამოვნო იქნება.

წესი 1

ყოველთვის გამოიყენე კომპიუტერი, პლანშეტი, სმარტფონი, რომელსაც აქვს გააქტიურებული ანტივირუსული პროგრამა.

მოერიდეთ ვირუსებს!

ვირუსი არის მავნე პროგრამა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს თქვენი კომპიუტერის მწყობრიდან გამოყვანა. ყველაზე მავნე ვირუსებს შეუძლიათ მოწყობილობის გაფუჭება.

ვირუსი არ ჩანს. ჩანს მარტო მისი ფუნქციონირების მავნე ეფექტები. კომპიუტერმა შეიძლება ნელა მუშაობა დაიწყოს. შეიძლება, არ ჩაირთოს. შეიძლება, ვებ-გვერდები თვითონ იხსნებოდეს, თქვენი მითითების გარეშე.

ვირუსები ხშირად კოპირდება მონაცემების პენდრაივზე გადატანის ან დაკოპირების დროს. ვირუსები ხშირად იჩენენ თავს არალიცენზირებული პროგრამების დაყენების დროს. ვირუსები ხშირად შემოდის ინტერნეტიდან.



ყველა მოწყობილობაზე უნდა იყოს დაინსტალირებული ანტივირუსული პროგრამა. ეს არის პროგრამა, რომელიც ამოწმებს ფაილებს, რომლებიც იქმნება და იწერება კომპიუტერში. ფაილი, რომელსაც ვირუსი აქვს, იშლება.

ყოველდღიურად იქმნება ათეულობით ახალი ვირუსი. ანტივირუსული პროგრამები უნდა განახლდეს ინფორმაციით ახალი ვირუსების შესახებ. ამიტომ უნდა გახსოვდეთ ანტივირუსული პროგრამების განახლების შესახებ. უკეთესი იქნებოდა, თუ პროგრამას ავტომატური განახლების ბრძანებას მიუთითებდით, მაშინ განახლება თქვენი ჩარევის გარეშე ავტომატურად მოხდება. ინტერნეტში შეიძლება უფასო ანტივირუსული პროგრამების მოძიება.

წესი 2

არ ენდოთ ინტერნეტში გაცნობილ ადამიანებს

როდესაც ვინმესთან ამყარებთ კონტაქტს ინტერნეტით, არ იცით, ვინ არის ეს ადამიანი, თუნდაც ხედავდეთ მის სურათს და კითხულობდეთ მასზე ინფორმაციას.

ბევრი ასეთი ინტერნეტში გაცნობილი სხვა ადამიანად გვაცნობს თავს ვიდრე არის. ვიღაცამ შეიძლება დაწეროს, რომ გოგონაა და 20 წლისაა, ხოლო სინამდვილეში 50 წლის კაცი აღმოჩნდეს ან დაწეროს, რომ 35 წლის ინჟინიერია და იყოს სკოლის მოსწავლე.

თუ გსურთ, გაიცნოთ ადამიანი, გაესაუბრეთ სკაიპში.



არ შეხვდეთ ინტერნეტში გაცნობილ ადამიანს მასთან ან თქვენთან სახლში. არ შეხვდეთ ადგილებში, სადაც ხალხის მცირე რაოდენობაა, მაგალითად, ტყეში. ყოველთვის გააგებინეთ ნაცნობს, რომ გინდათ შეხვდეთ ინტერნეტში გაცნობილ ადამიანს პირადად.

გახსოვდეთ!

ყველა არ იტყუება ინტერნეტში, მაგრამ საჭიროა, ვიყოთ ფრთხილად.

წესი 3

არასდროს გახსნათ e–mail თქვენთვის უცნობი ადამიანისგან.
არასდროს გახსნათ e–mail-ის დანართი უცნობი ადამიანისგან.
არასდროს დააჭიროთ e–mail-ით გამოგზავნილ ლინკს უცნობი ადამიანისგან.

თქვენს ელექტრონულ საფოსტო მისამართზე მოდის წერილები არა მარტო ნაცნობი ადამიანებისგან, ასევე უცხო ადამიანებისგან და ფირმებისაგან.

მსგავს წერილებს(e–mail) უცხო ადრესატებისგან სპამი ეწოდება. ასეთი e–mail-ი უმალ უნდა წაშალოთ.

ზოგიერთი სპამი არ არის სახიფათო, უბრალოდ რეკლამას წარმოადგენს. სხვა მსგავს e–mail-ებს შეიძლება ვირუსი ჰქონდეს. დავირუსებული e–mail ხშირად დანართთან ერთად იგზავნება.

ვირუსი ხშირად დამალულია დანართში. თუ გახსნით დანართს უცნობი ადამიანის მიერ გამოგზავნილ e–mail-ით, თქვენს კომპიუტერს შეიძლება ვირუსი გაუჩნდეს.

ზოგჯერ e–mail-ში უცხო ადამიანისგან განთავსებულია ლინკი.

არასდროს დააჭიროთ მსგავს ლინკებს. შეიძლება გადაამისამართონ ფალსიფიცირებულ ვებ-გვერდზე, რომელიც თქვენს ინტერნეტ ბანკს ან საფოსტო გვერდს ჰგავს. მოცემულ გვერდებზე შესვლამ და პაროლის ჩაწერამ, შეიძლება ამ მონაცემების სხვა ადამიანის მიერ გამოყენება გამოიწვიოს.

ყურადღება! მსგავს ქმედებას მონაცემების მოპარვა ეწოდება.

ძალიან ფრთხილად უნდა იყოთ. ასეთი e–mail გამოიყურება, როგორც e–mail თქვენი ნაცნობი ადამიანებისგან. მაგალითად, გამგზავნელის გრაფაში შეიძლება უბრალოდ ოლგა ეწეროს, ხოლო გრაფაში თემა **„ჩემი არდადეგების ფოტოსურათები“**.

წესი 4

ფრთხილად იყავით პირადი მონაცემების გაზიარების შემთხვევაში.

თქვენი პირადი მონაცემებია:
- სახელი და გვარი
- ტელეფონის ნომერი
- საცხოვრებელი ადგილის მისამართი
- დაბადების თარიღი
- პირადი ნომერი
- პირადობის მოწმობის ნომერი.

ზემოთ მოცემული მონაცემები არასდროს მიაწოდოთ ინტერნეტის საშუალებით.

განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყოთ, როდესაც რაიმე მომსახურების წესებს ეთანხმებით. თუ კი ასეთი თანხმობის დროს საჭიროა პირადი მონაცემები, არ დაეთანხმოთ იქამდე, სანამ არ გაესაუბრებით ადამიანს, რომელმაც კარგად იცის ინტერნეტში გავრცელებული წესები.

არასდროს გაუზიაროთ ინტერნეტში გაცნობილ ადამიანს თქვენი სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი.

არასდროს გაუზიაროთ ინტერნეტში გაცნობილ ადამიანს თქვენი ნაცნობების პირადი მონაცემები.



წესი 5

არავინ არ უნდა იცოდეს ინტერნეტ მომსახურების პირადი პაროლები.



შეიძლება მოხდეს ისე, რომ ადამიანი, რომელმაც იცის თქვენი პაროლი, შევიდეს თქვენს ფოსტაზე და გააგზავნოს თქვენთვის არასასურველი e–mail-ი თვენი სახელით. ყოველთვის, როდესაც ამთავრებთ e–mail-ის ან ფეისბუქის მოხმარებას, არ დაგავიწყდეთ სისტემიდან გამოსვლა.



გახსოვდეს, რომ არც ერთი ბანკი და ინსტიტუცია არ აგზავნის e–mail ლინკებს თხოვნით „დააჭირეთ“ ან სისტემაში შესვლის თხოვნით. ასეთი e–mail-ის მეშვეობით ცდილობენ, გაიგონ თქვენი პირადი მონაცემები და მოიპარონ თქვენი ანგარიშიდან ფული.

გახსოვდეთ!

თქვენი ანგარიშების პაროლები და სახელები საიდუმლოა.

წესი 6

არ გაუგზავნო ფული უცხო ან ინტერნეტში გაცნობილ ადამიანებს.

არ გაუკეთო საბანკო გადარიცხვები უცხო ადამიანებს. არ გადაურიცხო ნაცნობ ადამიანებს ფული, თუ ამის შესახებ e-mail-ით ან ფეისბუქის მეშვეობით გთხოვეს. თუ ასეთ თხოვნას მიიღებ, გადაურეკე ნაცნობს და ჰკითხე, მართლა ესაჭიროება დახმარება.

არ დაუჯერო e-mail-ით დაწერილ ინფორმაციას, რომ მისი „ტელეფონი არ მუშაობს, რადგან მოპარეს“.

არ უპასუხო თხოვნებს საბანკო გადარიცხვის შესახებ, თუ გთხოვენ, რომ გადარიცხო უცხო ადამიანის ან ფირმის ანგარიშზე.

ასევე შეიძლება გთხოვონ პატარა თანხის გადარიცხვა ანგარიშზე, რომლის ნომერიც არ გეცნობა, მაგრამ წერია, რომ შენ გეკუთვნის.

არ გადარიცხო! ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ შექმნეს ანგარიში თქვენს გვარზე იმისთვის, რომ გამოგძალონ საბანკო კრედიტი. მომავალში თქვენი დასაფარი გახდება კრედიტი.

არ გაუგზავნოთ ფული ადამიანებს, რომლებიც გაიცანით ინტერნეტში, მაგალითად, სოციალურ ქსელებში. ხანდახან ასეთი ნაცნობობა დიდ ხანს გრძელდება და გვგონია, რომ დავმეგობრდით. ადამიანი, რომელიც ფულის გამოძალვას ცდილობს, მოგწერთ, რომ უბედურება შეემთხვა და ესაჭროება ფული. **არ დაუჯეროთ ასეთ შემთხვევაში!**

წესი 7

არ მიაქციო ყურადღება ადმიანს, რომელიც შეურაცხყოფას გაყენებთ. დაბლოკეთ თქვენთან დაკონტაქტების საშუალება.



ინტერნეტში, განსაკუთრებით ფეისბუქში და ფორუმებზე, შეიძლება შეხვდეთ ადამიანის კატეგორიას, რომლის ერთადერთი აქტივობა არის ადამიანისადმი შეურაცხყოფის მიყენება. მკითხველისთვის ძალიან სამწუხარო რამეს წერენ. იყენებენ უწმაწურ სიტყვებს. ასეთ ადამიანებს ჰეიტერებს უწოდებენ.



არ შეხვიდე დისკუსიაში იმ ადამიანთან, რომელიც შეურაცხყოფას გაყენებთ. უმრავლესობა აპლიკაციებში შეიძლება ასეთი ადამიანების დაბლოკვა. ეს იმას ნიშნავს, რომ შეტყობინებას, რომელსაც გამოგიგზავნით, არ მოგივათ. დაბლოკილი ადამიანი ვერ ნახავს თქვეს მიერ პროფილზე განთავსებულ პოსტებს.

წესი 8

ნუ მიაყენებ შეურაცხყოფას სხვას ინტერნეტში.

არ დაწეროთ შეურაცხმყოფელი კომენტარები. არავის დაემუქროთ.

გახსოვდეთ! ინტერნეტში არავინ არის ანონიმური.

ეს იმას ნიშნავს, რომ თუ თქვენ გგონიათ, რომ ვერავინ გიცნობთ, ყოველთვის შეიძლება გაგება, თუ ვის ეკუთვნის შეურაცმყოფელი შინაარსის მქონე პოსტი.

ადამიანებს, რომლებსაც აქვთ საკუთარი ვებ-გვერდები ან ინტერნეტის მომწოდებელს შეუძლია შეამოწმოს, თუ რომელი კომპიუტერიდან ან სმარტფონიდან იყო გაგზავნილი კომენტარი ან შეტყობინება. პოლიციის დახმარებით, შეგიძლიათ მიაგნოთ შეურაცხმყოფელი შეტყობინების ავტორს.

წესი 9

გააკეთეთ საყიდლები ნაცნობ ვებ-გვერდებზე.

ზოგჯერ ინტერნეტში იქმნება ახალი ინტერნეტ-მაღაზიები.

მსგავსი მაღაზიები უფრო იაფად გვთავაზობენ გარკვეულ პროდუქციას, ვიდრე კონკურენტები.

გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს ფასდაკლება ნამდვილად საინტერესოა.

ეს შეიძლება ტყუილი აღმოჩნდეს. გადააგზავნით ფულს, ხოლო შეკვეთილ პროდუქტს არ მიიღებთ და მაღაზია კი გაქრება.

ყოველთვის გააკეთეთ საყიდლები ინტერნეტ-მაღაზიებში, რომლებიც უკვე რამდენიმე წელია რაც ფუნქციონირებს.

გააკეთეთ საყიდლები მაღაზიებში, რომლებიც ნაცნობების მიერ არის შემოწმებული და რეკომენდირებული.

allegro

იგივე სიტუაციაა allegro-ზე.

ყველა გამყიდველი allegro-ზე არ არის პატიოსანი.

allegro-ზე ყიდვის შემდეგ შეიძლება გამყიდველს დავუტოვოთ შემაფასებელი კომენტარი.

ეს არის გამყიდველის, პროდუქტის შეფასების მეთოდი კლიენტისათვის.

Oceny i komentarze

96.3% Pozytywnych komentarzy

Typ	Ostatnie 7 dni	Ostatnie 30 dni	Wszystkie
Pozytywne	1797	8410	190505
Neutralne	26	136	3775
Negatywne	12	62	1016

თუ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, პოზიტიურ კომენტარს ვტოვებთ.

ნეგატიურ კომენტარს ვტოვებთ იმ შემთხვევაში, როდესაც რაიმე პრობლემა გაგვიჩნდა. მაგალითად, გამყიდველმა მიიღო ფული, მაგრამ არ გამოგზავნა შეკვეთა, ან გამოგზავნილი საქონელი გაფუჭებული ან ნახმარია.

allegro-ზე შეიძლება ყველა მომხმარებლის კომენტარებს გავეცნოთ. შეიძლება, გავეცნოთ იმ გამყიდველის კომენტარებს, რომლისგანაც ვაპირებთ ყიდვას.

ყოველთვის, ყიდვამდე შეამოწმეთ კომენტარები. თუ მაღაზიას აქვს ნეგატიური კომენტარები, მოძებნეთ სხვა გამყიდველი.

წესი 10

დაფიქრდი, სანამ სურათს ინტერნეტში განათავსებდე ან e–mail- ით გაგზავნიდე.

ერთხელ ატვირთული სურათი ინტერნეტში მუდამ დარჩება. ამ პროცესის უკან დახევა არ შეიძლება. არ გაგზავნოთ პირადი სურათები e–mail-ით უცხო ხალხთან. არასდროს შეიძლება იყოთ დარწმუნებულნი, თუ რაში გამოიყენებენ მას.



ასევე დაიმახსოვრეთ, რომ ადვილია ვიდეოს ჩაწერა კამერაზე. ყველა სმარტფონს და პლანშეტს აქვს კამერა. კამერები აქვს ასევე უმრავლესობა ნოუთბუქებს. ჩაწერილი ფილმი შეიძლება ადვილად იყოს ატვირთული და გაზიარებული. შეიძლება გამოჩნდეს YouTube-ში, Facebook-ზე ან სხვა გვერდებზე.

არ გამოაქვეყნო ფეისბუქზე თქვენი ნაცნობის ფოტოსურათი ნებართვის გარეშე.

თუ ვინმემ განათავსა თქვენი ფოტოსურათი ან ვიდეო თქვენი ნებართვის გარეშე და თქვენ არ გსურთ, რომ იყოს გამოქვეყნებული, შეგიძლიათ:

- მისწეროთ იმ ადამიანს, რომ წაშალოს თქვენი სურათი. ასეთი შეტყობინების გაგზავნიდან რამოდენიმე დღეში შეამოწმეთ წაშალა თუ არა თქვენი ფოტოსურათი.
- მისწეროთ ვებ-გვერდის ადმინისტრატორს და მოსთხოვოთ სურათის წაშლა.
- თუ ამანაც არ გაამართლა, ამ შემთხვევაში უნდა განაცხადოთ პოლიციაში.

წესი 11

თუ კი თავს საფრთხეში გრძნობთ ინტერნეტით სარგებლობის დროს, მოიძიე დახმარება.

თუ ინტერნეტში თქვენზე ძალადობა ხორციელდება, მიმართეთ ორგანიზაციას, რომელიც დაგეხმარებათ.

თუ ინტერნეტში ვინმემ მოგატყუათ მიმართეთ დახმარებისათვის ორგანიზაციას.

თუ გრძნობ, რომ რაიმე გემუქრებათ ინტერნეტით სარგებლობის დროს, შეგიძლია დარეკოთ:

– ნომერზე 112

შემდეგ გვერდზე კიდევ ერთხელ არის აღნიშნული ყველა წესები ერთად. ამოჭერი და განათავსე ადგილას, სადაც ინტერნეტით სარგებლობ, მაგალითად, სამუშაო მაგიდასთან.

წაიკითხე წესები ყოველთვის, სანამ შეხვალ ინტერნეტში.

წესი 1
ყოველთვის ისარგებლე კომპიუტერით,სმარტფონით,პლანშეტით, რომელზეც დაინსტალირებულია აქტუალური ანტივირუსული პროგრამა.

წესი 2
არ ენდო ინტერნეტში გაცნობილ ადამიანებს.

წესი 3
არასდროს გახნსა e−mail-ი უცხო ადამიანისაგან.
არასდროს გახსნათ e−mail-ში დანართი უცნობი ადამიანისაგან.
არასდროს დააჭიროთ e−mail-ით გამოგზავნილ ლინკს უცნობი ადამიანისაგან.

წესი 4
იყავი ყურადღებით, როდესაც ავრცელებთ თქვენს პირად მონაცემებს.

წესი 5
არავინ უნდა იცოდეს ინტერნეტ მომსახურების პირადი პაროლები.

წესი 6
არ შეასრულო საბანკო გადარიცხვები უცხო ადამიანებისთვის.
არ შეასრულო გადარიცხვა ნაცნობი ადამიანებისთვის, თუ ამის შესახებ e-mail-ის ან ფეისბუქის მეშვეობით გთხოვეს.
არ გაუგზავნოთ ფული ინტერნეტში გაცნობილ ან უცხო ადამიანებს.

წესი 7
არ მიაქციოთ ყურადღება იმ ადამიანებს, რომლებიც გაყენებენ შეურაცხყოფას. დაბლოკეთ მათთან კონტაქტის შესაძლებლობა.

წესი 8
არ მიაყენოთ შეურაცხყოფა ინტერნეტში.

წესი 9
ინტერნეტ-საყიდლები უკვე თქვენთვის ნაცნობ მაღაზიებში გააკეთეთ.

წესი 10
დაფიქრდით, სანამ ატვირთავდეთ ფოტოსურათს ინტერნეტში ან გაგზავნიდეთ e−mail-ით.

წესი 11
თუ კი თავს საფრთხეში გრძნობთ ინტერნეტით სარგებლობის დროს, მოიძიეთ დახმარება.